## Caritas Germany Web-Editor visits Georgia

Monika Hoffmann Caritas Germany Public Relations specialist visited Georgia to collect information for Caritas Germany international solidarity campaign in favor of home care and youth projects` beneficiaries. Mrs. Hoffmann had an opportunity to visit Home Care beneficiaries in Tbilisi and war affected Gori region villages. Besides she participated in a radio program with representatives of Caritas Georgia dedicated to home care skills training and answered questions of radio listeners.

## გერმანიის კარიტასის ექსპერტი ეწვია საქართველოს

ქალბატონი მონიკა ჰოფმანი, გერმანიის კარიტასის ვებ რედაქტორი, ესტუმრა საქართველოს, რათა მოეპოვებინა ინფორმაცია გერმანიის კარიტასის საერთაშორისო სოლიდარობის აქციის მხარდასაჭერად, რაც მიზნად ისახავს სახსრების მოპოვებას შინმოვლის და სხვა სოციალური და სამედიცინო პროგრამებისათვის. ქალბატონმა ჰოფმანმა მოინახულა შინმოვლის პროექტის ბენეფიციარები თბილისსა და გორის ომით დაზარალებულ სოფლებში. მან აგრეთვე მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემაში “ღია ეთერი” რომელიც მიეძღვნა კარიტასის შინმოვლის ტრენინგებს.






## შესაძლებლობების განვითარების პროექტი

რენოვაბისი არის გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1993 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასახმარებლად. ეს ორგანიზაცია აფინანსებს რამდენიმე სამედიცინო და სოციალურ პროექტს საქართველოში, ერთ–ერთი მათგანია შინმოვლის პროექტის სამედიცინო პერსონალის უნარების განვითარების პროექტი. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს კარიტასის სამედიცინო პერსონალმა მონაწილეობა მიიღო ორდღიან ტრენინგში (28–29 ივნისი 2013.), რომელიც გაიმართა ქ. ახალციხეში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კარიტასის სამცხე– ჯავახეთის სამედიცინო ამბულატორიების თანამშრომლებსაც. ღონისძიება ფართოდ გაშუქდა ადგილობრივი მასმედიის მეშვეობით.

## Capacity Building Project

Renovabis is a charitable organization in Germany, established in 1993 to help people in Eastern and Central Europe. Renovabis finances several medical and social projects in Georgia. One of them is the Capacity Building Project of Home Care team. Under this project, the medical staff of Caritas Georgia took part in a two-day training (28-29 June 2013) which was held in Samtskhe-Javakheti Region of Georgia. Representatives of Caritas Georgia Medical Dispensaries project in Southern Georgia were also invited to participate in this training. This event was broadly covered by local mass media.





caritas
GEORGIA

# საქართველოს კარიტასი
# Caritas Georgia

## ირჩევს სიცოცხლეს
## Opting For life










№5
აპრილი - ივნისი, 2013
April - June, 2013

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა
Health and Social Care Program

**აღმოაჩინე ქველმოქმედი შენში**
**დარეკეთ ნომერზე: 0 901 500 567**
**ზარის ღირებულება - 1 ლარი**

თბილისი
ქურდიანის,3
ტელ/Tel: (995 232) 234 76 75
3, Kurdiani str., Tbilisi

გორი
ნინოშვილის ქ. 89
ტელ/Tel: (995 270) 27 49 57
89, Ninoshvili str., Gori

ქუთაისი
ნიუპორტის ქ.10
ტელ/Tel: (995 231) 24 35 50
10, Newport Srt., Kutaisi

www.caritas.ge დაგვიმეგობრდით ფეისბუქზე - საქართველოს კარიტასი შინმოვლა

## აღდგომის დღესასწაული

საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამამ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა თბილისისა და გორის შინმოვლის პროექტის 310 ბენეფიციარს.
თბილისში ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცეს თბილისის მერიისა და საქართველოს კარიტასის თანამშრომლებმა, ასევე მოხალისეებმა.
გორის შინმოვლის პროექტის ბენეფიციარებისათვის სააღდგომო ნობათი შეაგროვეს და თვითონვე დაურიგეს ამერიკული აკადემიის სტუდენტებმა. აქციაში მონაწილეობა მიიღეს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

## Easter Holyday

Caritas Georgia congratulated its beneficiaries with Easter Holiday and distributed food aid to 310 Home Care patients in Tbilisi and Gori.
Caritas Georgia staff and representatives of Tbilisi Municipality participated in this action.
Students of American Academy initiated collecting food parcels that were distributed to Gori Home Care beneficiaries.





## ტრენინგების კურსი : ,,ავადმყოფის მოვლის უნარ-ჩვევები“

საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა 2013 წელს თბილისის შინმოვლის პროექტის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს გერმანიის კარიტასი, ახორციელებს ტრენინგის პროექტს შინმოვლის საკითხებში. ტრენინგი მიზნად ისახავს შეასწავლოს ექთნებს, სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებსა და არაფორმალურ მომვლელებს ავადმყოფის მოვლის უნარ-ჩვევები.
2013 წლის დასაწყისიდან ტრენინგი გაიარა 150-მა მსენელმა, რომლებსაც საქართველოს კარიტასის დირექტორმა საზეიმო ვითარებაში გადასცა სერტიფიკატები.

## Training course - “Skills of Care”

Within Tbilisi Home Care project Caritas Georgia Health and Social care program implements a training project financed by Caritas Germany. The purpose of this training is to teach nurses, medical students, as well as informal caregivers homecare skills.
Since January 2013 150 students have already been trained. Director of Caritas Georgia in a festive atmosphere awarded the students with certificates of completion.




## საქართველოს ზრუნვის პლატფორმის დაფუძნება

2013 წლის 5 აპრილს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებმა:

- ზიანის შემცირების საქართველოს ქსელიმა
- საქართველოს კარიტასმა
- საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციამ
- საქართველოს შინმოვლის კოალიციამ

დააფუძნეს საქართველოს ზრუნვის პლატფორმა.

საქართველოს ზრუნვის პლატფორმის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ზრუნვის მიდგომის დამკვიდრებასა და განვითარებას.
2013 25 აპრილს გაიმართა პლატფორმის საჯარო პრეზენტაცია, სადაც მოწვეულ იყვნენ საზოგადოების, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლები. პრეზენტაცია ფართოდ გაშუქდა მას მედიის მეშვეობით.

## Georgian Platform on Care

Georgian Platform on Care is an organized network of Georgian civil society actors working in the field of health and social care. The Platform was founded on 5th of April, 2013 by four thematic networks:

- Georgian Coalition for Mental Health
- Georgian Caritas
- Home Care Coalition of Georgia
- Georgian Harm Reduction Network

Currently platform members unite 33 Georgian civil society actors working on health and social issues. The mission of the Platform on Care is to promote a care approach based on human rights in the health and social sector of Georgia.
Representatives of government, non-government and international organizations, Embassies were invited to the Public Presentation of the Georgian Platform on Care that was held on April 25, 2013. The event was broadly covered by Georgian mass media.

